დანართი №1

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების განსხვავებულ მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიური მომზადების დონეს.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე/გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის, მობილობით/შიდა მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის, აკადემიური ჩამორჩენილობის ან განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე, სტატუსაღდგენილი, მსჯავრდებული სტუდენტებისთვის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის მათი კვლევითი კომპონენტის საჭიროებებიდან გამომდინარე და სხვ.

3. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში შეიძლება მითითებულ იქნას სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სწავლების სემესტრი, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმები და პირობები, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები მატერიალური რესურსის მიმართ და სხვ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე.

4. სემესტრის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში, სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის ადმინისტრაციას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თხოვნით. განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. განცხადებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ: სტუდენტმა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/ხელმძღვანელებმა/კოორდინატორმა, სასწავლო კურსების განმახორციელებელმა ლექტორმა/ლექტორებმა, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა.

6. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აისახება სასწავლო პროცესის მართვის ბაზაში აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში. განსხვავებული ვადები შეიძლება დადგინდეს ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე/გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის.